საქართველოს კანონი
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ

მუხლი 1. კანონის მიზანი

ამ კანონის მიზანია ფასიანი ბუნებათსარგებლობის პრინციპის დამკვიდრებით, გარემოს პოტენციური შესაძლებლობებისა და მდგრადი განვითარების პრინციპებზე დაფუძნებული, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ბუნებრივი რესურსებით რაციონალური სარგებლობის უზრუნველყოფა.

საქართველოს 2005 წლის 20 დეკემბრის კანონი №2393 - სსმ I, №55, 27.12.2005 წ., მუხ.380

მუხლი 2. კანონში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა – გარემოდან სასარგებლო წიაღისეულის, ტყის ფონდის მერქნული რესურსების, მცენარეული არამერქნული რესურსების (მათ შორის, სოჭის გირჩების), ზედაპირული წყლის რესურსებისა და ცხოველთა სამყაროს რესურსების ამოღება;

ბ) (ამოღებულია);

გ) პირი – საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად.

საქართველოს 2006 წლის 29 დეკემბრის კანონი №4225 - სსმ I, №5, 15.01.2007 წ., მუხ.64

მუხლი 3. მოსაკრებლის გადამხდელი

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლის გადამხდელია:

ა) პირი, რომლის საქმიანობა ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ექვემდებარება ლიცენზირებას;

ბ) პირი, რომელიც ახორციელებს სახელმწიფო ტყის ფონდიდან მერქნული რესურსებით სარგებლობას;

გ) სპეციალური ჭრების შედეგად ამოღებული მერქნული რესურსებით მოსარგებლე;

დ) პირი, რომელიც ახორციელებს ცხოველთა სამყაროს ობიექტების მოპოვებას (ბუნებრივი გარემოდან ამოღებას).

საქართველოს 2006 წლის 29 დეკემბრის კანონი №4225 - სსმ I, №5, 15.01.2007 წ., მუხ.64
საქართველოს 2007 წლის 11 ივლისის კანონი №5238 - სსმ I, №29, 27.07.2007 წ., მუხ.307
საქართველოს 2011 წლის 8 ნოემბრის კანონი №5201 - ვებგვერდი, 14.11.2011წ.

მუხლი 4. მოსაკრებლის ობიექტი

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებლის ობიექტია საქართველოს ტერიტორიაზე (ტერიტორიული წყლების, საჰაერო სივრცის, კონტინენტური შელფისა და განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის ჩათვლით) არსებული ბუნებრივი რესურსების მოცულობა (რაოდენობა), კერძოდ:

ა) სასარგებლო წიაღისეულის მოცულობა (რაოდენობა);

ბ) ტყის ფონდის მერქნული რესურსების მოცულობა (რაოდენობა);

გ) მცენარეთა არამერქნული რესურსების (მათ შორის, სოჭის გირჩების) მოცულობა (რაოდენობა);

დ) წყლის რესურსების მოცულობა (რაოდენობა);

ე) ცხოველთა სამყაროს რესურსების მოცულობა (რაოდენობა).

საქართველოს 2006 წლის 29 დეკემბრის კანონი №4225 - სსმ I, №5, 15.01.2007 წ., მუხ.64
საქართველოს 2011 წლის 8 ნოემბრის კანონი №5201 - ვებგვერდი, 14.11.2011წ.

მუხლი 5. მოსაკრებლის განაკვეთი

1. სასარგებლო წიაღისეულისათვის მოსაკრებლის ოდენობა განისაზღვრება:

ა) სასარგებლო წიაღისეულის ძირითადი სახეობებისა და მოცულობის (რაოდენობის) მიხედვით, ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად:

სასარგებლო წიაღისეულის სახეობანი	ზომის ერთეული	მოსაკრებლის ოდენობა ლარებში
საწვავი და ენერგორესურსები:		
ა) ნავთობი	1 ტონა	21
ბ) გაზი	1000 $მ^3$	2
გ) ნახშირი	1 ტონა	1
დ) ტორფი და საპრობელები	1 ტონა	0.7
შავი ლითონები:	1 ტონა/1%-იანი შემცველობით	
ა) რკინა		0.008
ბ) მანგანუმი		0.18

ფერადი ლითონები:		
ა) სპილენძი	1 ტონა	255.31
ბ) ტყვია	1 ტონა	37
გ) თუთია	1 ტონა	90
დ) ანთიმონიტი	1 ტონა/1%-იანი შემცველობით	0.09
ე) კადმიუმი	1 ტონა	800000
ვ) ალუმინი	1 ტონა	104
ზ) ნიკელი	1 ტონა	450
თ) კალა	1 ტონა	400
ი) სტრონციუმი და სხვა	1 ტონა	0.8
კეთილშობილი ლითონები:	1 გრამი	
ა) ოქრო		3
ბ) პლატინოიდები		1.3
გ) ვერცხლი		0.03
იშვიათი ლითონები, იშვიათი ელემენტები და იშვიათ მიწათა ელემენტები	1 გრამი	1.5
სამთო-ქიმიური ნედლეული:		
ა) ანდეზიტი	1 $მ^3$	0.6
ბ) ბარიტი	1 ტონა	1.8
გ) კალციტი	1 ტონა	1.2
დ) ბენტონიტური თიხები	1 ტონა	3.6
ე) ვერცხლისწყალი	1 ტონა/1%-იანი შემცველობით	0.14
ვ) დარიშხანი	1 ტონა	20
ზ) გოგირდი	1 ტონა	2
თ) დიატომიტი და სხვა	1 ტონა	6
არამადნეული ნედლეული, მეტალურგიისათვის საჭირო ნედლეულის ჩათვლით:		
ა) დოლომიტი	1 ტონა	0.5
ბ) ცეცხლგამძლე თიხები	1 ტონა	1
გ) საფლუსე კირქვები	1 ტონა	0.5
დ) კვარცის ქვიშები საყალიბე და მინის წარმოებისათვის	1 ტონა	1.5
ე) მინერალური პიგმენტები	1 ტონა	200
ვ) ტალკი	1 ტონა	1
ზ) ცეოლითი	1 ტონა	1
თ) კაოლინი	1 ტონა	4.0
ი) ტრაქიტი	1 ტონა	0.3
კ) პეგმატიტი	1 ტონა	0.3
ლ) კირქვა კირის წარმოებისათვის	1 ტონა	0.15
მ) გრაფიტი	1 ტონა	8
ნ) საყალიბე-საფლუსე თიხები	1 ტონა	0.3
ო) კერამიკული თიხები	1 ტონა	0.2
პ) ბუნებრივი ცარცის ქვა	1 ტონა	0.1
ჟ) საფორმე ქვიშები	1 $მ^3$	0.3
რ) ლითოგრაფიული ქვა და სხვა	1 $მ^3$	2
ძვირფასი ქვები	1 კარატი	1
საიუველირო ნახევრადძვირფასი ქვები (აკვამარინი, ამეთვისტო, ქრიზოლითი, მთის ბროლი და სხვა)	1 კილოგრამი	0.25
საიუველირო-სანაკეთობო ქვები (აქატი, მალაქიტი, ნეფრიტი, სერდოლიკი, ქარვა, გიშერი, ლაზურიტი და სხვა)	1 კილოგრამი	0.15
იასპი (ეშმი)	1 გრამი	0.05

საშენი მასალები:		
ა) საცემენტე ნედლეული (კირქვა, თიხამიწა, სპონგოლიტი)	1 ტონა	0.14
ბ) თაბაშირი	1 ტონა	0.7
გ) გაჯი	1 ტონა	1.0
დ) პერლიტი	1 ტონა	1.8
ე) ხრეში, ქვიშა	1 $მ^3$	0.2
ვ) სააგურე თიხები	1 $მ^3$	0.35
ზ) მოსაპირკეთებელი და სახერხი ქვები (გრანიტი, სიენიტი, დიორიტი, გაბრო, ტეშენიტი, ბაზალტი, ტუფი, მარმარილო)	1 $მ^3$	1.0
თ) საღორღე ნედლეული	1 $მ^3$	0.4
ი) სხვა საშენი მასალები	1 $მ^3$	0.7
სასმელ-სამკურნალო და ჩამოსასხმელი მიწისქვეშა მინერალური წყლები, გარდა ამ პუნქტის „ბ“–„ე“ ქვეპუნქტებში აღნიშნული მინერალური წყლებისა	1 $მ^3$	3
სამკურნალო ტალახი	1 ტონა	1
გარეგანი მოხმარების (სამკურნალო აბაზანები) მიწისქვეშა მინერალური წყლები	1 $მ^3$	0.04
მიწისქვეშა თერმული (თბოენერგეტიკული დანიშნულების) წყლების გამოყენება, ტემპერატურით:	1 $მ^3$	
40◦C–60◦C		0.03
60◦C–80◦C		0.05
80◦C–100◦C		0.06
100◦C-ზე მეტი		0.08
მიწისქვეშა მტკნარი წყლები:	1 $მ^3$	
ა) მიწისქვეშა მტკნარი წყლების ჩამოსხმის მიზნით გამოყენება		4
ბ) მიწისქვეშა მტკნარი წყლების სხვა სამეწარმეო მიზნით გამოყენება		0.005
მყარი სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისა და გადამუშავების ნარჩენები	1 ტონა	0.2
სამთამადნო საწარმოთა გამდიდრების კუდები	1 ტონა	0.18

შენიშვნა: პირის (გარდა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სუბიექტებისა) მიერ პირადი ან/და არასამეწარმეო ეკონომიკური საქმიანობისათვის მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება არ ექვემდებარება მიწისქვეშა მტკნარი წყლებისათვის დაწესებული ბუნებრივი რესურსით სარგებლობის მოსაკრებლის გადახდას;

ბ) „ბორჯომის“ მინერალური წყლისთვის, 1 $მ^3$ წყალზე – 30 ლარით;

გ) „ნაბეღლავის“ მინერალური წყლისთვის, 1 $მ^3$ წყალზე – 18 ლარით;

დ) „საირმის“ მინერალური წყლისთვის, 1$მ^3$ წყალზე – 6 ლარით;

ე) „უწერის“ მიწისქვეშა მინერალური წყლისთვის, წყლის ჩამოსასხმელად (სასმელ-სამკურნალო მიზნით) გამოყენების დროს, 1 $მ^3$ წყალზე – 4 ლარით;

$ე^1$) „უწერის“ მიწისქვეშა მინერალური წყლისთვის, წყლის გარეგანი მოხმარების მიზნით (სამკურნალო აბაზანებისთვის) გამოყენების დროს, 1 $მ^3$ წყალზე – 0.04 ლარით;

ვ) ნახშირორჟანგისთვის (გაზი CO_2), 1 ტონაზე – 20 ლარით.

2. სახელმწიფო ტყის ფონდის მერქნული რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლის ოდენობა განისაზღვრება სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე გავრცელებულ ტყის მერქნიან სახეობათა ჯგუფებისა და კატეგორიების მიხედვით:

ტყის მერქნიან სახეობათა ჯგუფები და სახეობათა დასახელებები	მოსაკრებლის ოდენობა ერთი კუბური მეტრისათვის ლარებში			
	I კატეგორია	II კატეგორია	III კატეგორია	IV კატეგორია

1	2	3	4	5
I ჯგუფი: უთხოვარი, ბზა, ღვია, ძელქვა, კაკალი	102	71	41	6
II ჯგუფი: მუხა, წაბლი, იფანი, თელა, თუთა, ნეკერჩხალი, ცაცხვი, პანტა, საღსაღაჯი	60	42	24	4
III ჯგუფი: წიფელი, რცხილა, აკაცია, აკაკი, უხრავი	47	33	19	3
IV ჯგუფი: ფიჭვი, ნაძვი, სოჭი, კედარი, კვიპაროსი, კრიპტომერია, ტუია	22	15	9	2
V ჯგუფი: ჯაგრცხილა, ჭადარი, ტყის დანარჩენი მერქნიანი სახეობები	13	9	5	2

შენიშვნა: ტყის მერქნიან სახეობათა სხვადასხვა კატეგორიისათვის მიკუთვნების წესი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

2^1. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული სახელმწიფო ტყის ფონდის მერქნული რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებელი ასევე გადაიხდევინება „დედაქალაქის საკურორტო-რეკრეაციული ინფრასტრუქტურის განვითარებისა და მნიშვნელოვანი სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, ქ. თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე სახელმწიფო ტყის ფონდის კუთვნილი ფართობების (8106.9 ჰა) სახელმწიფო ტყის ფონდიდან ამორიცხვის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №1070 განკარგულებით განსაზღვრულ ტერიტორიაზე შესაბამისი საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში.

3. გარემოდან ამოღებული ტყის არამერქნული რესურსებით და ტყის მერქნიანი

მცენარეების პროდუქტებით სარგებლობისათვის მოსაკრებლის ოდენობა განისაზღვრება ყოველ კილოგრამზე, შემდეგი ცხრილის მიხედვით:

№	**რესურსების დასახელება სახეობათა ჯგუფების მიხედვით**	**მოსაკრებლის ოდენობა (ლარი / კგ)**
1	თეთრყვავილას ბოლქვები , ყოჩივარდას გორგლები	0.1
2	სოჭის გირჩა	0.60

4. წყლის რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლის ოდენობა განისაზღვრება:

ა) წყლის ობიექტების ჯგუფების მიხედვით, ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად:

წყლის ობიექტთა ჯგუფები (წყლის ობიექტთა სახეობების დასახელების ჩათვლით)	**მოსაკრებლის ოდენობა ერთ კუბურ მეტრზე ლარებში**
I ჯგუფი (კასპიის ზღვის აუზის მდინარეები, ტბები და სხვა წყალსატევები)	0.01
II ჯგუფი (შავი ზღვის აუზის მდინარეები, ტბები და სხვა წყალსატევები)	0.005
III ჯგუფი (შავი ზღვის წყალი)	0.003

ბ) თბოსადგურებისათვის და სარწყავი სისტემებისათვის მოსაკრებლის ოდენობა 1 მ3 წყალზე შეადგენს ამ მუხლის მე-4 პუნქტის “ა” ქვეპუნქტში შესაბამის წყლის ობიექტთა ჯგუფებისათვის განსაზღვრული მოსაკრებლის ოდენობის 1 პროცენტს;

გ) ჰიდროელექტროსადგურებისათვის მოსაკრებლის ოდენობა 1 მ3 წყალზე შეადგენს ამ მუხლის მე-4 პუნქტის “ა” ქვეპუნქტში შესაბამის წყლის ობიექტთა ჯგუფებისათვის განსაზღვრული მოსაკრებლის ოდენობის

0,01 პროცენტს;

დ) კომუნალური და სოფლის წყალსადენებისათვის მტკნარი (მიწისქვეშა და ზედაპირული) წყლის რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლის ოდენობა 1 მ3 წყალზე შეადგენს 0,01 თეთრს.

5. ცხოველთა სამყაროს რესურსებისათვის მოსაკრებლის ოდენობა განისაზღვრება ცხოველთა სამყაროს ობიექტების საქართველოში გავრცელებულ სახეობათა მიხედვით, ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად:

ცხოველთა სამყაროს ობიექტთა ჯგუფები (ცხოველთა სამყაროს ობიექტთა სახეობების დასახელებათა ჩათვლით)	მოსაკრებლის ოდენობა (ძუძუმწოვრებისა და ფრინველებისათვის – სახეობის ერთ ინდივიდზე, თევზებისა და წყლის ცხოველებისათვის – ერთ ტონაზე) ლარებში
I ჯგუფი (დათვი)	1700
II ჯგუფი (გარეული ღორი)	100
III ჯგუფი:	
ა) შველი	500
ბ) ირემი	1700
IV ჯგუფი (მგელი)	100
V ჯგუფი:	
ა) ტურა	15
ბ) მელა	50
გ) მაჩვი	20
დ) კვერნა	20
ე) ენოტისებური ძაღლი, ენოტი, ნუტრია	1
ვ) ტყის კატა	10
VI ჯგუფი (კურდღელი)	2
VII ჯგუფი:	
ა) ჯიხვი	1700
ბ) არჩვი	1350
გ) შურთხი	220
დ) ნიამორი	8350
VIII ჯგუფი (სხვა ძუძუმწოვრები)	2
IX ჯგუფი (ხოხობი)	15
X ჯგუფი:	
ა) კაკაბი, გარეული ბატი	4
ბ) გარეული იხვი	1
გ) დურაჯი	1
დ) გნოლი	1
ე) როჭო	1
XI ჯგუფი (სხვა ფრინველები)	1
XII ჯგუფი (ქაფშია)	25
XIII ჯგუფი:	
ა) ქარსალა	10
ბ) მერლანგი	15
გ) ხონთქარა	40
დ) ქაშაყი, პელამი, სამარიდა, სარღანი	40
ე) ლუფარი	30
ვ) სკუმბრია, სარდინი, სტავრიდა	20
ზ) ფარგა	50

თ) სამარისი	40
XIV ჯგუფი:	
ა) კეფალი, წვერა, ციმორი, მურწა	120
ბ) შამაია	90
გ) ლოქო	60
XV ჯგუფი:	
ა) თეთრი ამური, სქელშუბლა	40
ბ) ტობი	50
XVI ჯგუფი:	
ა) კობრი	40
ბ) ჭერეხი	70
გ) კაპარჭინა	30
დ) ნაფოტა	10
ე) ქარიყლაპია	10
XVII ჯგუფი (სიგა, პელიადი, ჭაფალა)	15
XVIII ჯგუფი (კატრანი)	80
XIX ჯგუფი:	
ა) მდინარის კალმახი, ტბის კალმახი	200
ბ) ორაგულისებრნი	525
XX ჯგუფი (ზუთხისებრნი)	3000
XXI ჯგუფი:	
ა) რაპანი	6
ბ) მიდია	8
XXII ჯგუფი:	
ა) ხრამული	50
ბ) ქაშაყი	5
გ) კარჩხანა (კარასი)	5
დ) ღორჯო	5
ე) ჭანარი	50
ვ) მცირე ვიმბა	15
ზ) კამბალა, კალკანი	40
XXIII ჯგუფი:	
ა) ზღვის კატა	30
ბ) ზღვის ენა	30
გ) ზღვის მელა	30
დ) ვარსკვლავთმრიცხველი	40

6. გარემოდან გადამფრენი ფრინველების ამოღებაზე მოსაკრებლის ოდენობა სეზონზე შეადგენს 10 ლარს.

საქართველოს 2005 წლის 2 ივნისის კანონი №1504 - სსმ I, №29, 21.06.2005 წ., მუხ.182
საქართველოს 2005 წლის 23 ივნისის კანონი №1757 - სსმ I, №36, 11.07.2005 წ., მუხ.234
საქართველოს 2006 წლის 24 ივლისის კანონი №3497 - სსმ I, №35, 03.08.2005 წ., მუხ.253
საქართველოს 2006 წლის 29 დეკემბრის კანონი №4225 - სსმ I, №5, 15.01.2007 წ., მუხ.64
საქართველოს 2007 წლის 11 ივლისის კანონი №5238 - სსმ I, №29, 27.07.2007 წ., მუხ.307
საქართველოს 2010 წლის 28 ოქტომბრის კანონი №3774 - სსმ I, №63, 10.11.2010 წ., მუხ.401
საქართველოს 2011 წლის 17 მაისის კანონი №4678 - ვებგვერდი, 01.06.2011წ.
საქართველოს 2011 წლის 8 ნოემბრის კანონი №5201 - ვებგვერდი, 14.11.2011წ.
საქართველოს 2013 წლის 10 ივლისის კანონი №802 - ვებგვერდი, 29.07.2013წ.
საქართველოს 2014 წლის 21 მარტის კანონი №2149 - ვებგვერდი, 04.04.2014წ.
საქართველოს 2014 წლის 24 დეკემბრის კანონი №2958 - ვებგვერდი, 30.12.2014წ.
საქართველოს 2015 წლის 29 მაისის კანონი №3674 - ვებგვერდი, 04.06.2015წ.

მუხლი 6. მოსაკრებლის გადახდის და ბიუჯეტში ჩარიცხვის წესი

1. ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებელი გადაიხდება არა უგვიანეს საანგარიშოს მომდევნო თვის 15 რიცხვისა, გარდა შემდეგი ბუნებრივი რესურსებისა:

ა) ტყის ფონდის მერქნული რესურსებით სარგებლობისათვის – რესურსების ბუნებიდან ამოღების (მოჭრის) მომდევნო თვის 15 რიცხვის ჩათვლით, მაგრამ არა უგვიანეს ტყიდან მათი ტრანსპორტირებისა, გარდა ამავე პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

ბ) ადგილობრივი მოსახლეობის მიერ პირადი მოხმარებისათვის, ასევე საბიუჯეტო ორგანიზაციებისა და საქართველოს საპატრიარქოს მიერ ტყის ფონდის მერქნული რესურსებით სარგებლობისათვის – წინასწარ, რესურსების ბუნებიდან ამოღებამდე (მოჭრამდე);

გ) სპეციალური ჭრის შედეგად ამოღებული მერქნული რესურსებით სარგებლობისათვის – მერქნული რესურსის შემმენისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გადაცემამდე;

დ) მცენარეთა არამერქნული რესურსებითა და მათი პროდუქტებით სარგებლობისათვის – წინასწარ, ლიცენზიის მიღებამდე;

ე) სოფლის მეურნეობაში გამოყენებული წყლით სარგებლობისათვის – შესაბამისი წლის 1 დეკემბრამდე;

ვ) გადამფრენ ფრინველებზე ნადირობისათვის – წინასწარ, ნადირობის დაწყებამდე, უფლებამოსილი ორგანოს მიერ განსაზღვრული წესით ;

ზ) სასარგებლო წიაღისეულით სარგებლობისათვის – სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების (ან წიაღით სარგებლობის) ლიცენზიის მიღების შემდეგ, სასარგებლო წიაღისეულის (გარდა მინერალური წყლებისა, მიწისქვეშა მტკნარი ჩამოსასხმელი წყლებისა და ნახშირორჟანგისა) შემთხვევაში – 6 თვეში ერთხელ, მაგრამ არა უგვიანეს მე-6 თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა, მინერალური წყლებისა და მიწისქვეშა მტკნარი ჩამოსასხმელი წყლების შემთხვევაში – არა უგვიანეს ყოველი კვარტალის მომდევნო თვის 15 რიცხვისა, ნახშირორჟანგის (გაზი CO_2) შემთხვევაში – ყოველთვიურად, არა უგვიანეს მომდევნო თვის 15 რიცხვისა, სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმით გათვალისწინებული ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მიხედვით, თანაბარ ნაწილებად, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის მოცულობა აღემატება სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმით გათვალისწინებულ ყოველწლიურ ასათვისებელ მოცულობას, – ფაქტობრივად მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის ოდენობის მიხედვით.

შენიშვნა: ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლის გადახდის ამ ქვეპუნქტით განსაზღვრული რეჟიმი არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებზედაც სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების (ან წიაღით სარგებლობის) ლიცენზია გაცემულია სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა-მოპოვების მიზნით, მხოლოდ სასარგებლო წიაღისეულის შესწავლის სტადიაზე. თუ აღნიშნულ პირებს სასარგებლო წიაღისეულის შესწავლის სამუშაოების განხორციელებისას წარმოეშვათ სასარგებლო წიაღისეულის შესწავლის მიზნებისათვის მოპოვების აუცილებლობა, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებელი გადაიხდება ფაქტობრივად მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის ოდენობის მიხედვით, არა უგვიანეს მომდევნო თვის 15 რიცხვისა;

თ) (ამოღებულია – 05.07.2011, №5033);

ი) (ამოღებულია – 05.07.2011, №5033);

კ) შავ ზღვაში თევზჭერის ლიცენზიის მფლობელის მიერ თევზის რესურსებით სარგებლობისათვის – არა უგვიანეს ყოველი წლის 15 ივლისისა, თევზჭერის ყოველწლიური კვოტიდან თევზჭერის ლიცენზიით განსაზღვრული პროცენტის შესაბამისად მოსაპოვებელი თევზის რესურსის სრული ოდენობით;

ლ) ცხოველთა სამყაროს ობიექტით სარგებლობისათვის – ნადირობას დაქვემდებარებული ცხოველთა სამყაროს ობიექტის (გარდა გადამფრენი ფრინველისა) მოპოვების შესახებ დოკუმენტის მიღების მომდევნო თვის 15 რიცხვის ჩათვლით, მაგრამ არა უგვიანეს ცხოველთა სამყაროს ობიექტის მოპოვებისა (ბუნებრივი გარემოდან ამოღებისა).

1^1. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პირის სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიისაგან გათავისუფლების შემთხვევაში ლიცენზიის გარეშე მოსაპოვებელი სასარგებლო წიაღისეულით სარგებლობისათვის მოსაკრებელი გადაიხდება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიისაგან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილებით განსაზღვრული სასარგებლო წიაღისეულის მოცულობის პროპორციულად, ლიცენზიისაგან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, 3 თვეში ერთხელ, მაგრამ არაუგვიანეს მე-3 თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა. ამასთანავე, თუ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიისაგან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილებით არ არის განსაზღვრული სასარგებლო წიაღისეულის მოცულობა ან თუ მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის მოცულობა აღემატება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიისაგან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილებით განსაზღვრულს, მოსაკრებელი გადაიხდება ფაქტობრივად მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის ოდენობის მიხედვით.

2. ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლის გადამხდელი ამ მუხლის პირველი და 1^1 პუნქტებით გათვალისწინებულ ბუნებრივ რესურსებზე, გარდა ამავე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“, „დ“ და „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულებისა, გაანგარიშებას საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესით საგადასახადო ორგანოში წარადგენს ამ მოსაკრებლის გადახდისათვის დადგენილ ვადაში. ამასთანავე, ამ

მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ და „კ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლის გადამხდელს უფლება აქვს, არ წარადგინოს გაანგარიშება, თუ მის მიერ გაანგარიშება წარდგენილია და მომდევნო საანგარიშო პერიოდების მიხედვით არ იცვლება ლიცენზიით განსაზღვრული მოსაკრებლის ობიექტის ოდენობა.
საქართველოს 2005 წლის 23 ივნისის კანონი №1757 - სსმ I, №36, 11.07.2005 წ., მუხ.234
საქართველოს 2006 წლის 24 ივლისის კანონი №3497 - სსმ I, №35, 03.08.2005 წ., მუხ.253
საქართველოს 2006 წლის 29 დეკემბრის კანონი №4225 - სსმ I, №5, 15.01.2007 წ., მუხ.64
საქართველოს 2007 წლის 11 ივლისის კანონი №5238 - სსმ I, №29, 27.07.2007 წ., მუხ.307
საქართველოს 2009 წლის 15 დეკემბრის კანონი №2323 - სსმ I, №46, 22.12.2009 წ., მუხ.354
საქართველოს 2009 წლის 15 დეკემბრის კანონი №2324 - სსმ I, №46, 22.12.2009 წ., მუხ.355
საქართველოს 2010 წლის 23 მარტის კანონი №2808 - სსმ I, №15, 31.03.2010 წ., მუხ.95
საქართველოს 2010 წლის 2 ივლისის კანონი №3291 - სსმ I, №32, 06.07.2010 წ., მუხ.199
საქართველოს 2011 წლის 11 მარტის კანონი №4390-ვებგვერდი,17.03 2011წ.
საქართველოს 2011 წლის 5 ივლისის კანონი №5033 - ვებგვერდი, 15.07.2011წ.
საქართველოს 2011 წლის 8 ნოემბრის კანონი №5201 - ვებგვერდი, 14.11.2011წ.
საქართველოს 2013 წლის 25 მარტის კანონი №481 – ვებგვერდი, 05.04.2013წ.
საქართველოს 2014 წლის 30 აპრილის კანონი №2318 - ვებგვერდი, 13.05.2014წ.

მუხლი 7. შეღავათები

1. მოსაკრებლებისაგან თავისუფლდება მეტროპოლიტენის, წყალმომარაგების, საკანალიზაციო სისტემების, ინფრასტრუქტურული და საყოფაცხოვრებო დანიშნულების მიწისქვეშა ნაგებობათა მშენებლობისას მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის მოცულობა (რაოდენობა).

2. მოსაკრებელი უმცირდებათ 70 %-ით:

ა) იმ ბუნებათმოსარგებლეებს, რომლებიც ეწევიან ბუნებრივი რესურსების მოპოვებასთან დაკავშირებულ სამეცნიერო და კულტურულ-საგანმანათლებლო საქ-მიანობას;

ბ) აღდგენილი (კვლავწარმოებული) რესურსების მოცულობის (რაოდენობის) ფარგლებში იმ ბუნებათმოსარგებლეებს, რომლებიც საკუთარი სახსრებით ახორციელებენ ბუნებრივი რესურსების აღდგენა-კვლავწარმოებას.

3. პირი, რომელიც ახორციელებს სანიტარიულ ჭრას, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებელს იხდის ამ კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტით ტყის მერქნიან სახეობათა I კატეგორიისათვის დადგენილი მოსაკრებლის 60%-ის ოდენობით.

4. განსაკუთრებულ შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სოციალური ჭრის შედეგად სათბობი შეშით უზრუნველყოფისას, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, კატეგორიის მიუხედავად, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლის გადახდა ხორციელდება ამ კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტით ტყის მერქნიან სახეობათა IV კატეგორიისათვის დადგენილი მოსაკრებლის ოდენობით.
საქართველოს 2010 წლის 8 აპრილის კანონი №2918 - სსმ I, №21, 22.04.2010 წ., მუხ.118
საქართველოს 2011 წლის 17 მაისის კანონი №4678 - ვებგვერდი, 01.06.2011წ.

მუხლი 8. განსაკუთრებული შემთხვევები

1. (ამოღებულია – 08.11.2011, №5201).

2. ბუნებრივი რესურსებით, მათ შორის, საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი გარეულ ცხოველთა და ველურ მცენარეთა სახეობებით სარგებლობის მოსაკრებელი შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს რესურსების უკანონო მოპოვების შედეგად მიყენებული ზიანის (ზარალის) დაანგარიშებისათვის.
საქართველოს 2011 წლის 8 ნოემბრის კანონი №5201 - ვებგვერდი, 14.11.2011წ.

მუხლი 9. მოსაკრებლის გადახდის ადმინისტრირება

1. ამ კანონით განსაზღვრული მოსაკრებლების გადახდის ადმინისტრირება ევალებათ საგადასახადო ორგანოებს, გარდა ამ კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის:

ა) „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოსაკრებლისა, რომლის გადახდის ადმინისტრირებას თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებენ საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ეროვნული სატყეო სააგენტო, საჯარო სამართლის იურიდიული პირი – დაცული ტერიტორიების სააგენტო და საჯარო სამართლის იურიდიული პირი – აჭარის სატყეო სააგენტო;

ბ) „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოსაკრებლისა, რომლის გადახდის ადმინისტრირებას ახორციელებს შესაბამისი ლიცენზიის გამცემი ადმინისტრაციული ორგანო;

გ) „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოსაკრებლისა, რომლის გადახდის ადმინისტრირებას ახორციელებს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი.

2. საგადასახადო ორგანოები ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლის ადმინისტრირებას ახორციელებენ საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესით.
საქართველოს 2010 წლის 17სექტემბრის კანონი №3604 - სსმ I, №54, 12.10.2010 წ., მუხ.356
საქართველოს 2011 წლის 11 მარტის კანონი №4390-ვებგვერდი,17.03 2011წ.
საქართველოს 2012 წლის 2 მარტის კანონი №5749 – ვებგვერდი, 15.03.2012წ.

საქართველოს 2013 წლის 25 მარტის კანონი №481 – ვებგვერდი, 05.04.2013წ.

მუხლი 9[1]. (ამოღებულია)
საქართველოს 2012 წლის 2 მარტის კანონი №5749 – ვებგვერდი, 15.03.2012წ.
საქართველოს 2013 წლის 25 მარტის კანონი №481 – ვებგვერდი, 05.04.2013წ.

მუხლი 9[2]. (ამოღებულია)
საქართველოს 2012 წლის 2 მარტის კანონი №5749 – ვებგვერდი, 15.03.2012წ.
საქართველოს 2013 წლის 25 მარტის კანონი №481 – ვებგვერდი, 05.04.2013წ.

მუხლი 10. პასუხისმგებლობა
ამ კანონის დარღვევისათვის მოსაკრებლის გადამხდელს დაეკისრება საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული სანქციები და სხვა პასუხისმგებლობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
საქართველოს 2010 წლის 17სექტემბრის კანონი №3604 - სსმ I, №54, 12.10.2010 წ., მუხ.356

მუხლი 10[1]. გარდამავალი დებულება
2016 წლის 1 იანვრამდე 1 ტონა/1%-იანი შემცველობით მანგანუმზე მოსაკრებლის ოდენობა განისაზღვროს 0.12 ლარით.
საქართველოს 2014 წლის 24 დეკემბრის კანონი №2958 - ვებგვერდი, 30.12.2014წ.

მუხლი 11. კანონის ამოქმედება
ეს კანონი ამოქმედდეს 2005 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი მ. სააკაშვილი
თბილისი,

2004 წლის 29 დეკემბერი.
№946-რს